ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2280237

ნომერი: AR1353490

თარიღი : 31.10.2015

გაცემის თარიღი : 05.11.2015

გაცნობის თარიღი : 05.11.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოლოუბანი , ნაკვეთი 20/040 / ქალაქი თბილისი , ქუჩა კალოუბანი , უნივერმაღის მიმდებარედ , ნაკვ.20/039 / ქალაქი თბილისი , ქუჩა კალოუბანი , N 34 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ვასაძე პ/ნ 01008005344
- თბილისი გ.შატბერაშვილის ქ. N 28

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის განხილვის შედეგად გაცნობებთ, რომ სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია თქვენი მოთხოვნის დაკმაყოფილება, თუმცა შესაბამისი თანხმობის მისღებად საჭიროა გაითვალისწინოთ:

1.საპროექტო ფოტომონტაჟზე მიეთითოს საჩრდილობლის მასალა.

2."ფაილის მიმაგრება"-ს ველში ატვირთულ უნდა იქნას მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა საპროექტო საჩრდილობლის დატანით და გაბარიტული ზომების მითითებით. გაითვალისწინეთ: ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად საზოგადოებრივ სივრცეში 2.70 მ-მდე სიმაღლეზე დაუშვებელია შენობის ფასადიდან არქიტექტურული დეტალების ნებისმიერი (თქვენ შემთხვევაში საჩრდილობლის) გადმოწევა 0.30 მ-ზე მეტად. ხოლო იმ შემთხვევაში თუ არქიტექტურული დეტალი (საჩრდილობელი) ეწყობა გრუნტის ზედაპირიდან 2.7 მ-დან 4.5 სიმაღლეზე ტროტუარის კიდის ვერტიკალურ წარმოსახვითი სიბრტყიდან ასეთ არქიტექტურულ ნაწილებამდე, მათ შორის საყრდენ სვეტებამდე დარჩენილი, ბუნებრივი (ხე-ნარგავები, გაზონი) ან/და ხელოვნური (განათების ბოძი, მცირე არქიტექტურული ფორმები) წინაღობისაგან თავისუფალი, გასავლელის სიგანე უნდა იყოს მინიმუმ 0.8 მ.

3.გაურკვეველია თქვენი (მოქ. დავით ვასაძის) უფლებამოსილება. გაითვალისწინეთ, რომ არქიტექტურის სამსახურს განმცხადებლის/თანაგანმცხადებლის სახით უნდა მომართოს შ.პ.ს. "იფქლი პირველი" -ს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირმა (მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ატვირთვით) ან მისი მინდობილობა ატვირთული უნდა იყოს "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულების" ველში, იმ შემთხვევაში კი თუ თქვენ მოისაზრებით როგორც უფლებამოსილის პირი, ასეთ შემთხვევაში დამატებით წარმოდგენილი უნდა იყოს უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. გარდა ამისა აიტვირთოს კონსტრუქციული დასკვნა საჩრდილობლის მოწყობასთან დაკავშირებით და შესაბამისი კონსტრუქციული ნახაზები.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.